საქართველოს პარლამენტი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
სექტემბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 17,673.0 მლნ ლარი	88.3% 9 თვის გეგმის	64.1% წლიური გეგმის
გადასახდელები - 17,035.5 მლნ ლარი	82.4% 9 თვის გეგმის	61.0% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 637.5 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,477.1 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -39.2 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარ-აგვისტოში, სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 17,673.0 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 64.1%-ს და 9 თვის გეგმის[1] (20,013.1 მლნ ლარი) 88.3%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 992.6 მლნ ლარით (6.0%-ით) აღემატება (ძირითადად, შემოსავლების მატების **გავლენით**).

2025 წლის 8 თვეში, **გადასახდელები** 17,035.5 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 61.0%-ს და 9 თვის გეგმის (20,669.1 მლნ ლარი) 82.4%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 8 თვის მაჩვენებელს 763.1 მლნ ლარით (4.7%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ხარჯების მატების **გავლენით**).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (90.2%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები მაღალი მაჩვენებლით (94.9%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები მნიშვნელოვანი (35.9%-იანი) გადაჭარბებით გამოირჩევა, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (68.8%).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, 9 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 87.1% და 89.3%), ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (95.3%), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს დაბალი მაჩვენებელი აქვს (55.1%).





[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 8 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 637.5 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 სექტემბრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,023.7 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



გადასახადების სახით, იანვარ-აგვისტოში მობილიზებულია 14,175.8 მლნ ლარი, რაც 9 თვის გეგმის 87.7%-ს და წლიური გეგმის 64.8%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 78.5% - 90.2%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი, ხოლო მოგების გადასახადი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 9 თვეში დაიგეგმა 200.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი 443.3 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები გაზრდილია 1,092.1 მლნ ლარით (8.3%-ით), ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის, აგრეთვე, დღგ-ის, შესაბამისად, 12.8%-იანი, 5.2%-იანი მატების გავლენით.



2025 წლის იანვარ-აგვისტოში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 1,477.1 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -39.2 მლნ ლარი შეადგინა.



ხარჯების მაჩვენებელმა, 8 თვეში, 14,159.0 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 87.1% და წლიური გეგმის 64.8% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, გარდა საქონლისა და მომსახურების ხარჯებისა (9 თვის 76.9%), ხარჯების თითქმის ყველა მუხლი, კარგი შესრულებით ხასიათდება. კერძოდ: სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 90.6%-ს შეადგენს, პროცენტის მუხლით ხარჯები - 89.4%-ს, გრანტები - 89.2%-ს, სხვა ხარჯები - 88.1%-ს, სუბსიდიები - 85.0%-ს, ხოლო შრომის ანაზღაურება - 82.5%. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 1,383.9 მლნ ლარით (10.8%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების (603.7 მლნ ლარით) მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 8 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა*	2025 წლის 8 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 8 თვის ფაქტთან
შემოსულობები	**16,680.4**	**27,560.8**	**20,013.1**	**17,673.0**	**88.3%**	**64.1%**	**6.0%**
შემოსავლები	**14,301.6**	**23,434.9**	**17,332.9**	**15,636.1**	**90.2%**	**66.7%**	**9.3%**
გადასახადები	13,083.7	21,885.0	16,155.0	14,175.8	87.7%	64.8%	8.3%
საშემოსავლო გადასახადი	4,401.2	7,369.0	5,499.0	4,962.6	90.2%	67.3%	12.8%
მოგების გადასახადი	2,178.6	3,070.0	2,385.0	1,872.6	78.5%	61.0%	-14.0%
დღგ	4,896.7	8,136.0	6,024.0	5,153.1	85.5%	63.3%	5.2%
აქციზი	1,604.2	2,650.0	1,933.0	1,649.0	85.3%	62.2%	2.8%
იმპორტის გადასახადი	92.3	150.0	114.0	95.2	83.5%	63.5%	3.1%
სხვა გადასახადები	-89.4	510.0	200.0	443.3	221.6%	86.9%	-596.1%
გრანტები	194.9	199.9	144.5	146.6	101.5%	73.3%	-24.8%
სხვა შემოსავლები	1,023.0	1,350.0	1,033.4	1,313.7	127.1%	97.3%	28.4%
არაფინანსური აქტივების კლება	**99.7**	**300.0**	**228.0**	**216.3**	**94.9%**	**72.1%**	**117.1%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**268.0**	**400.0**	**198.0**	**269.2**	**135.9%**	**67.3%**	**0.4%**
ვალდებულებების ზრდა	**2,011.2**	**3,425.9**	**2,254.2**	**1,551.4**	**68.8%**	**45.3%**	**-22.9%**
საშინაო	822.9	1,600.0	1,135.4	1,006.6	88.7%	62.9%	22.3%
საგარეო	1,188.3	1,825.9	1,118.8	544.7	48.7%	29.8%	-54.2%
გადასახდელები	**16,272.3**	**27,941.7**	**20,669.1**	**17,035.5**	**82.4%**	**61.0%**	**4.7%**
ხარჯები	**12,775.1**	**21,842.0**	**16,260.5**	**14,159.0**	**87.1%**	**64.8%**	**10.8%**
შრომის ანაზღაურება	1,639.6	3,035.0	2,261.0	1,865.3	82.5%	61.5%	13.8%
საქონელი და მომსახურება	1,449.4	2,485.3	1,871.2	1,438.5	76.9%	57.9%	-0.8%
პროცენტი	1,124.9	1,745.0	1,440.1	1,288.1	89.4%	73.8%	14.5%
სუბსიდიები	696.1	1,021.6	767.7	652.6	85.0%	63.9%	-6.2%
გრანტები	1,016.5	1,856.5	1,276.6	1,139.2	89.2%	61.4%	12.1%
სოციალური უზრუნველყოფა	5,130.7	8,446.3	6,328.5	5,734.3	90.6%	67.9%	11.8%
სხვა ხარჯები	1,718.0	3,252.3	2,315.5	2,041.1	88.1%	62.8%	18.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2,525.0**	**4,258.9**	**3,142.7**	**1,732.6**	**55.1%**	**40.7%**	**-31.4%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**165.1**	**424.1**	**219.6**	**209.3**	**95.3%**	**49.4%**	**26.8%**
ვალდებულებების კლება	**807.1**	**1,416.7**	**1,046.3**	**934.5**	**89.3%**	**66.0%**	**15.8%**
საშინაო	24.7	42.9	34.9	22.1	63.1%	51.4%	-10.7%
საგარეო	782.4	1,373.8	1,011.4	912.5	90.2%	66.4%	16.6%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**408.1**	**-381.0**	**-656.0**	**637.5**			

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 8 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 8 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 8 თვის ფაქტთან
შემოსავლები	**14,301.6**	**23,434.9**	**17,332.9**	**15,636.1**	**90.2%**	**66.7%**	**9.3%**
გადასახადები	13,083.7	21,885.0	16,155.0	14,175.8	87.7%	64.8%	8.3%
გრანტები	194.9	199.9	144.5	146.6	101.5%	73.3%	-24.8%
სხვა შემოსავლები	1,023.0	1,350.0	1,033.4	1,313.7	127.1%	97.3%	28.4%
ხარჯები	**12,775.1**	**21,842.0**	**16,260.5**	**14,159.0**	**87.1%**	**64.8%**	**10.8%**
შრომის ანაზღაურება	1,639.6	3,035.0	2,261.0	1,865.3	82.5%	61.5%	13.8%
საქონელი და მომსახურება	1,449.4	2,485.3	1,871.2	1,438.5	76.9%	57.9%	-0.8%
პროცენტი	1,124.9	1,745.0	1,440.1	1,288.1	89.4%	73.8%	14.5%
სუბსიდიები	696.1	1,021.6	767.7	652.6	85.0%	63.9%	-6.2%
გრანტები	1,016.5	1,856.5	1,276.6	1,139.2	89.2%	61.4%	12.1%
სოციალური უზრუნველყოფა	5,130.7	8,446.3	6,328.5	5,734.3	90.6%	67.9%	11.8%
სხვა ხარჯები	1,718.0	3,252.3	2,315.5	2,041.1	88.1%	62.8%	18.8%
საოპერაციო სალდო	**1,526.5**	**1,592.9**	**1,072.4**	**1,477.1**	**137.7%**	**92.7%**	**-3.2%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2,425.3**	**3,958.9**	**2,914.7**	**1,516.3**	**52.0%**	**38.3%**	**-37.5%**
ზრდა	2,525.0	4,258.9	3,142.7	1,732.6	55.1%	40.7%	-31.4%
კლება	99.7	300.0	228.0	216.3	94.9%	72.1%	117.1%
მთლიანი სალდო	**-898.9**	**-2,366.0**	**-1,842.3**	**-39.2**	**2.1%**	**1.7%**	**-95.6%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**305.2**	**-356.9**	**-634.4**	**577.7**	**-91.1%**	**-161.9%**	**89.3%**
ზრდა	**573.2**	**424.1**	**219.6**	**846.9**	**385.7%**	**199.7%**	**47.7%**
ვალუტა და დეპოზიტები	408.1	0.0	0.0	637.5			56.2%
სესხები	164.0	421.7	217.1	122.2	56.3%	29.0%	-25.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.2	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	7322.5%
კლება	**268.0**	**781.0**	**854.0**	**269.2**	**31.5%**	**34.5%**	**0.4%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	656.0	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	268.0	400.0	198.0	268.4	135.5%	67.1%	0.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.8			
ვალდებულებების ცვლილება	**1,204.1**	**2,009.1**	**1,207.8**	**616.9**	**51.1%**	**30.7%**	**-48.8%**
ზრდა	**2,011.2**	**3,425.9**	**2,254.2**	**1,551.4**	**68.8%**	**45.3%**	**-22.9%**
საშინაო	822.9	1,600.0	1,135.4	1,006.6	88.7%	62.9%	22.3%
საგარეო	1,188.3	1,825.9	1,118.8	544.7	48.7%	29.8%	-54.2%
კლება	**807.1**	**1,416.7**	**1,046.3**	**934.5**	**89.3%**	**66.0%**	**15.8%**
საშინაო	24.7	42.9	34.9	22.1	63.1%	51.4%	-10.7%
საგარეო	782.4	1,373.8	1,011.4	912.5	90.2%	66.4%	16.6%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი